



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო87.8722027001

თარიღი: 27/01/2022

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომა
ოქმი №1**

ქ. ახმეტა, 26 იანვარი, 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: გ.ქიბროწაშვილი, გ.ონიაშვილი, გ.შაშიაშვილი,
კ.მამულაშვილი, რ.გახუაშვილი, ბ.კაიშვილი,
გ.მამუჩარაშვილი, შ.ტერტერაშვილი,

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს
წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ; ინფორმაცია კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის სიის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის სიის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს

8 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

მოხსენეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: ა) დადგენილებაში ცვლილებების შეტანა გამომწვეულია იმით, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 156-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც მითითებულია პრეამბულასა და დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში, მოქმედებდა 2019 წლის 1 იანვრამდე, რის შემდეგაც იგი ძალადაკარგულად ითვლება (იხ. ამავე კოდექსის 167-ე მუხლის მე-5 პუნქტი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ნორმატიული დატვირთვა აღარ გააჩნია საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს კანონით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობაზე მითითებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

8 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

მოხსენეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ; ინფორმაცია კომისიების პერსონალური

შემადგენლობის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

- ა) იურიდიულ საკითხთა კომისია - 10 წევრი;
- ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 10 წევრი;
- გ) ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - 10 წევრი;
- დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - 10 წევრი;
- ე) სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია - 10 წევრი.

საკრებულოს თითოეულ კომისიაში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს სამი მეხუთედისა (3/5);
- ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს ორი მეხუთედისა (2/5);
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, შესაბამისი კომისიის წევრი ხდება პირადი განცხადების საფუძველზე, - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30.1 მუხლის 2.2 პუნქტით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დავაზაშვილი შემოვიდა სხდომაზე.

მოხმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 6 (ექვსი) ერთეულით:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი - 1;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - 3;
- გ) საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი - 1;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი - 1.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: დაშვებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში: მიკროავტობუსის მძღოლი -1, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი-1, მძღოლები მერიაში-4, ინფორმაციული ტექნოლოგიების - (IT) სპეციალისტი-1, მერის მრჩეველი-2, მერის თანამემწე-1, მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1; ტექნიკური სპეციალისტი-1.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ შეიტანა ცვლილება პროექტის პრეამბულაში და ტექსტში. ტექსტის შინაარსში ჩაიწერა: განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1-ლი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა შეცვლილი სახით, საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის სიის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30.2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომისია წარმოგიდგინთ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიას, დამოწმებულს ყველა წევრის ხელმოწერით. საკრებულოს უმრავლესობის სია საკრებულოს ბიუროს წარედგინება დასამტკიცებლად და რეგისტრაციაში გატარებისათვის.

აღნიშნულ სიაში შედიან საკრებულოს ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გაერთიანებული საკრებულოს წევრები:

- 1) გიორგი ქიბროწაშვილი - უმრავლესობის ლიდერი;
- 2) იოსები ქარუმაშვილი; 3) შორენა ხოხობაშვილი; 4) ლევან ვახეიშვილი; 5) გიორგი ბართიშვილი; 6) თამარ ყვინიშვილი; 7) გელა ონიაშვილი; 8) თამაზ ბორჩაშვილი; 9) ხათუნა იჩუაიძე; 10) გელა შაშიაშვილი; 11) კახა მამულაშვილი; 12) ზეზვა უძილაური; 13) ზეზვა ფიცხელაური; 14) გიორგი მამუჩარაშვილი; 15) რევაზ გაბუაშვილი; 16) დავით ავაზაშვილი; 17) ბესარიონ კაიშვილი; 18) ელდარ ბალაკაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

მოხსენებელი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის სიის დამტკიცების შესახებ;

მოხსენებელმა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30.2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს ბიუროს წარუდგინა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სია დამტკიცების და რეგისტრაციაში გატარებისთვის.

ოპოზიციის წევრთა სიაში სულ შედის საკრებულოს 12 წევრი - ფრაქციაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაერთიანებული საკრებულოს 11 წევრი და საკრებულოს 1 უფრაქციო წევრი:

- 1) შაქრო ტერტერაშვილი;
- 2) გელა შორთიშვილი;
- 3) კარლო მუხაური;
- 4) გივი უძილაური;
- 5) ელენე მარკოზაშვილი;
- 6) ფირუზ შიომღვიმელი;
- 7) ლუიზა მუთოშვილი;
- 8) კობა მაზიაშვილი;
- 9) სოსო ბაბულაიძე;
- 10) ეთერ ფეტვიაშვილი;
- 11) ლევან ჭიჭიკოშვილი.
- 12) თინათინ მოზაიძე (საკრებულოს უფრაქციო წევრი).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

ბიუროს სხდომა დაიხურა 11³⁰ საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

